სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ინვესტიციები

კომპანიის ინვესტიციები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას გაუჩნდება აღნიშნული შემოსავლების მიღების უფლება.

3.4 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.4.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად. სასიცოცხლო ვადის განმავლობაში თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3.4.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს აღნიშნული აქტივიდან მისაღები შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი

აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.4.3. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი	5-10 წელი
ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვისთვის განკუთვნილი, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.6 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

სტუდენტებისათვის სასწავლო მომსახურებიდან გაწეულ შემოსავალს კომპანია აღიარებს სასწავლო სემესტრის განვლილი დღეების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3.7 გადასახადები

3.7.1 მოგების გადასახადი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა განაწილებისას გადასახადი 15%-ის ტოლია.

3.7.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს უნივერსიტეტი გეომედის ძირითადი შემოსავალი სტუდენტებისაგან მიღებული სწავლის საფასური სსკ-ის მიხედვით განთავისუფლებულია დღგ -ისაგან, ხოლო შემოსავალი რომელსაც ის ღებულობს უცხოელი სტუდენტებისაგან მომსახურების ღირებულების სახით საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად განთავისუფლდა დღგ-ის გადასახადისაგან.

3.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და მოთხოვნამდე ანაზღაურებისაგან.

3.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.10 გაცემული სესხები

გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

მიღებული ავანსები წარმოადგენს სტუდენტების მიერ გადახდილ თანხასა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის სემესტრის განვლილი დღეების შესაბამისად დარიცხულ სწავლის ღირებულებას შორის დადებით სხვაობებს.

4. ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში

მას შემდეგ რაც კომპანიამ გამოსცა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, მასში აღმოაჩინა შეცდომები, კერძოდ:

1. უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობა გულისხმობს სტუდენტებისათვის მომსახურების გაწევას. კომპანია ამონაგებს არ აღიარებდა მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, არამედ მთლიანი სემესტრის/კურსის შემოსავალს აღიარებდა სასწავლო სემესტრის/კურსის დაწყებისას.
2. კომპანია ამონაგებად აღიარებდა ისეთ ოპერაციებსაც, რომლიდანაც არ იყო მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. კერძოდ შემოსავლების დარიცხვა გრძელდებოდა ისეთ სტუდენტებზე, რომელთაც არ მიეწოდებოდათ მომსახურება მათი სტატუსისა ან/და სწავლის საფასურის გადაუხდელობის მიზეზით.
3. სტუდენტების მიერ სასწავლო სემესტრის/კურსის დასრულებამდე გადახდილი თანხების ნაწილი რაც აღემატებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხულ შემოსავლებს რეკლასიფიცირდა მიღებულ ავანსებად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაწილში.
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პოლიტიკა არ იყო მსს ფასს-ის შესაბამისი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე გავლენა იქონია ზემოაღნიშნულმა კორექტირებებმა.

კომპანიამ რეტროსპექტულად გადაიანგარიშა წინა პერიოდები და ასახა მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ძირითადი საშუალებები	11,485,418	576	(1,021)	11,484,973
არამატერიალური აქტივები	-		1,021	1,021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,501,492	(3,709,732)	2,463,014	254,774
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	652,448	(345,330)	2,463,014	2,770,132
გაუნაწილებელი მოგება	8,513,844	(3,363,826)	-	5,150,018
სრული შემოსავლის ანგარიშგება				-
შემოსავალი მომსახურებიდან	9,996,826	(813,884)	-	9,182,941
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(4,361,538)	-	72,750	(4,288,788)
ცვეთა და ამორტიზაცია	(657,883)	83		(657,800)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	(1,287,575)	1,280,292		(7,283)
სხვა ხარჯები	(2,700,239)	766,783	41,529	(1,891,927)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,135	(7,494)		(4,359)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-	(114,279)	(114,279)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	(278,529)	92,123		(186,406)

	31 დეკემბერი 2022 წელი გადაანგარიშებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2022 წელი გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ძირითადი საშუალებები	8,947,578	9,787	(1,021)	8,956,344
არამატერიალური აქტივები	-	-	1,021	1,021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,327,534	(4,602,471)	2,463,014	188,077
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	613,656	89,045	2,463,014	3,165,715
გაუნაწილებელი მოგება	7,921,067	(4,681,729)	-	3,239,338

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

კომპანია შპს „უნივერსიტეტი გეომედი“ ამ ეტაპზე არის მომგებიანი, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

6. შემოსავალი მომსახურებიდან

კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყაროა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის საფასური. სასწავლო მომსახურების მიმღებები არიან როგორც საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე უცხოელი სტუდენტები.

სხვა შემოსავალი წარმოადგენს რეაბილიტაციისა და სტომატოლოგიური კლინიკების მიერ გაწეული მომსახურების საფასურს.

	2024 წელი	2023 წელი *
შემოსავალი სტუდენტების მომსახურებიდან	8,604,280	8,371,961
სხვა შემოსავალი	1,077,891	810,980
სულ	9,682,172	9,182,941

7. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი წარმოადგენს სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა და მოწვეულ პედაგოგთა დარიცხულ ხელფასსა და სხვა სარგებელს.

	2024 წელი	2023 წელი *
შრომის ანაზღაურების ხარჯი	4,753,440	4,288,788
სულ	4,753,440	4,288,788

8. სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი *
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	825,102	1,418,127
კონტრაქტორ კლინიკებთან სტუდენტების პრაქტიკის ხარჯები	54,815	57,340
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	28,500	24,000
აკრედიტაციის ხარჯი	20,629	10,810
აუდიტის და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	30,304	27,825
კლინიკებისა და ლაბორატორიის მასალების ხარჯი	59,763	71,333
საკვები პროდუქტის ხარჯები	13,859	19,113
ბანკის მომსახურების ხარჯი	20,552	15,663
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	25,243	47,315
კომუნიკაციის ხარჯები	43,399	47,510
სხვა საოპერაციო ხარჯები	113,530	152,891
სულ	1,235,696	1,891,927

9. ფინანსური შემოსავალი

კომპანიას საბანკო დეპოზიტებზე განთავსებული აქვს თანხები უცხოურ ვალუტაში. დეპოზიტების ვადა შეადგენს 12 თვეს.

	2024 წელი	2023 წელი *
საპროცენტო შემოსავალი	206,454	180,276
სულ	206,454	180,276

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი *	31 დეკემბერი 2022 წელი *
დეპოზიტები ბანკში	5,613,600	5,378,800	6,755,000
სულ	5,613,600	5,378,800	6,755,000

10. ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი *	31 დეკემბერი 2022 წელი *
ინვესტიციები	638,581	550,000	-
სულ	638,581	550,000	-

კომპანიამ 2023 წელს შეიძინა შპს „რუსთავის №1 საავადმყოფოს“ 5 პროცენტი წილი. აღნიშნული ინვესტიცია კომპანიას არ ანიჭებს კონტროლის ან/და მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას.

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურ- ვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სასწავლო ინვენტარი	სატრან- სპორტო საშუალებები	მრავალ- წლიანი ნარგავები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>										
31.12.2022*	114,818	1,112,194	9,396,528	296,040	210,720	381,109	610,762	613,798	4,600	12,740,568
დამატება	-	1,135,576	1,839,071	10,159	14,869	15,944	58,726	90,884	21,800	3,187,029
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(600)	-	(600)
31.12.2023*	114,818	2,247,770	11,235,599	306,199	225,589	397,053	669,488	704,082	26,400	15,926,998
დამატება	-	601,762	922,648	174,205	28,050	68,892	27,477	-	552	1,823,586
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2024	114,818	2,849,533	12,158,247	480,404	253,639	465,945	696,965	704,082	26,952	17,750,583
<i>დაგროვილი ცვეთა</i>										
31.12.2022*	-	-	(2,967,134)	(120,155)	(120,993)	(186,791)	(246,467)	(142,684)	-	(3,784,225)
ცვეთა	-	-	(386,273)	(37,125)	(20,770)	(40,266)	(60,886)	(112,479)	-	(657,800)
ცვეთის გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2023*	-	-	(3,353,407)	(157,280)	(141,764)	(227,057)	(307,353)	(255,163)	-	(4,442,024)
ცვეთა	-	-	(440,342)	(64,738)	(20,641)	(36,013)	(53,017)	(89,784)	(1,090)	(705,625)
ცვეთის გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2024	-	-	(3,793,749)	(222,018)	(162,405)	(263,070)	(360,370)	(344,947)	(1,090)	(5,147,649)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>										
31.12.2022*	114,818	1,112,194	6,429,394	175,884	89,726	194,318	364,295	471,114	4,600	8,956,344
31.12.2023*	114,818	2,247,770	7,882,191	148,918	83,825	169,996	362,135	448,918	26,400	11,484,973
31.12.2024	114,818	2,849,533	8,364,497	258,386	91,234	202,875	336,594	359,135	25,862	12,602,934

კომპანიის ძირითად საშუალებებზე არ არსებობს უფლებრივი შეზღუდვები.

12. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	სასწავლო აპლიკაცია	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
31 დეკემბერი 2022 წელი*	1,021	-	1,021
დამატება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი*	1,021	-	1,021
დამატება	-	135,585	135,585
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2024 წელი	1,021	135,585	136,606
<i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>			
31 დეკემბერი 2022 წელი*	-	-	-
ამორტიზაცია	-	-	-
ამორტიზაციის გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი*	-	-	-
ამორტიზაცია	-	(10,401)	(10,401)
ამორტიზაციის გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2024 წელი	-	(10,401)	(10,401)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>			
31 დეკემბერი 2022 წელი*	1,021	-	1,021
31 დეკემბერი 2023 წელი*	1,021	-	1,021
31 დეკემბერი 2024 წელი	1,021	125,184	126,205

კომპანიის არამატერიალურ აქტივებზე არ არსებობს უფლებრივი შეზღუდვები.

13. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი *	31 დეკემბერი 2022 წელი *
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	12,492	12,492	-
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	100,016	112,508	-
სულ	112,508	125,000	-

კომპანიას 10 წლის ვადით გაცემული აქვს იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხი ფიზიკურ პირზე.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი *	31 დეკემბერი 2022 წელი *
მოთხოვნები სტუდენტების მიმართ	567,256	371,803	203,066
სხვა მოთხოვნები	55,101	57,815	152,572
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(236,785)	(174,843)	(167,561)
სულ	385,572	254,774	188,077

შპს „უნივერსიტეტი გეომედის“ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში სტუდენტებზე წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია დიდი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. საანგარიშგები პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით შპს „უნივერსიტეტი გეომედს“ გარკვეული ნაწილის ოდენობით ჰქონდა მიღებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო მოთხოვნები.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება იმ მაკროეკონომიკური ფაქტორების მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვად, რომელსაც გავლენა აქვს კლიენტის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანიამ განახორციელა ყველაზე შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება და ამის მიხედვით დააკორექტირა ამ ფაქტორებში ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთი.

საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება არააქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპანია არ ქმნის საეჭვო მოთხოვნების რეზერვს სხვა მოთხოვნებზე. აღნიშნული მოთხოვნები წარმოადგენს სარეაბილიტაციო კლინიკის მომსახურებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს კონტრაქტორი კომპანიების მიმართ, როგორებიცაა სპორტული კლუბები. ასეთი მოთხოვნების ამოღება სრულად ხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ.

2024 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო დირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო დირებულება
მოთხოვნები სტუდენტების მიმართ				
მიმდინარე	10%	364,204	36,420	327,784
1-დან 2 წლამდე	50%	5,374	2,687	2,687
2-დან 3 წლამდე	70%	-	-	-
3 წელზე მეტი	100%	9,781	9,781	-
ინდივიდუალური შეფასება	100%	187,896	187,896	-
სულ		567,256	236,785	330,471

2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო დირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო დირებულება
მოთხოვნები სტუდენტების მიმართ				
მიმდინარე	10%	218,284	21,828	196,456
1-დან 2 წლამდე	50%	-	-	-
2-დან 3 წლამდე	70%	1,680	1,176	504
3 წელზე მეტი	100%	6,077	6,077	-
ინდივიდუალური შეფასება	100%	145,762	145,762	-
სულ		371,803	174,843	196,960

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი *	31 დეკემბერი 2022 წელი *
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	166,208	107,579	1,080,999
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,377,291	2,318,797	1,718,231
სულ	3,543,498	2,426,377	2,799,230

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი *	31 დეკემბერი 2022 წელი *
ვალდებულებების საქონლის მოწოდებიდან და მომსახურებიდან	213,021	343,747	702,701
მიღებული ავანსები	2,968,882	2,426,386	2,463,014
სულ	3,181,904	2,770,132	3,165,715

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დებეგრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ხელფასი

2024 წელი	2023 წელი *
140,625	112,500

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

მარინა ფირცხალავა

დირექტორი

19.11.2025

ნონა თოლორაია

მთავარი ბუღალტერი

19.11.2025

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დებეგრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.


18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ხელფასი


2024 წელი	2023 წელი *
140,625	112,500

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს გამმართველით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.


მარინა ფირცხალავა
დირექტორი
19.11.2025




ნონა თოლორია
მთავარი ბუღალტერი
19.11.2025

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

შინაარსი

ისტორია, დამფუძნებელი და მმართველობა
საქმიანობა, ფინანსური მაჩვენებლები და განვითარების გეგმები

1. ისტორია , დამფუძნებელი და მმართველობა

შპს „უნივერსიტეტი გეომედი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 1998 წლის 10 თებერვალს. კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორია პროფესორი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ფირცხალავა (პ/ნ 01009010446). კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი მეფე სოლომონ II-ის ქუჩა N4.

2. საქმიანობა, ფინანსური შედეგები და განვითარების გეგმები

ამჟამად, უნივერსიტეტი ანხორციელებს 7-აკადემიურ პროგრამას სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრო-2 პროგრამა, სამაგისტრო-2 პროგრამა, ერთსაფეხურიანი სამედიცინო-2 პროგრამა, ერთსაფეხურიანი სტომატოლოგია-1 პროგრამა, სადაც სწავლობს 806-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი. პროგრამები ხორციელდება როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

სწავლის საფეხური	სულ სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის საერთაშორისო სტუდენტი
ბაკალავრიატი	70	0
მაგისტრატურა	10	0
ერთსაფ.სტომატ/ფაკ-ი	34	0
ერთსაფ.მედიცინის /ფაკ-ი	692	569

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტს 133 კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთა 50%-ზე მეტი დასაქმებულია.

პროგრამის დასახელება	სულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა	მათ შორის საერთაშორისო სტუდენტი
ბაკალავრიატი	10	0
მაგისტრატურა	2	0
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა	121	103

შპს „უნივერსიტეტი გეომედის“ შემოსავლების 95%-ს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურები შეადგენს. დარჩენილი 5% მოიცავს: საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური და რეაბილიტაციის კლინიკებიდან მიღებულ შემოსავალს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებს.

კომპანიის შემოსავალმა 2024 წელს 9,682,172 ლარი შეადგინა (2023 წელს 9,182,941 ლარი), მოგება 2,825,719 ლარი (2023 წელს 1,910,680 ლარი), ხოლო კომპანიის მთლიანი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 23,136,549 ლარს შეადგენდა (2023 წელს 20,363,815 ლარი).

კომპანია გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში.

3. დასაქმებულთა რაოდენობა და საკადრო პოლიტიკა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უნივერსიტეტი გეომედში დასაქმებულთა რაოდენობა 303-ს შეადგენს, მათ შორის 125 მუდმივ შტატზეა დასაქმებული, ხოლო 138 მოწვეული ლექტორია, რომელთა ხელფასი საათობრივი დატვირთვით განისაზღვრება. კომპანია მუდმივად ზრუნავს დასაქმებულთა განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

4. გარემოს დაცვის საკითხები

კომპანიის საქმიანობა რაიმე სახის გავლენას არ ახდენს გარემოზე და გამომდინარე აქედან გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმა შემუშავებული არ არის.

მარინა ფირცხალავა

დირექტორი

19.11.2025

ნონა თოლორაია

მთავარი ბუღალტერი

19.11.2025

კომპანიის შემოსავალმა 2024 წელს 9,682,172 ლარი შეადგინა (2023 წელს 9,182,941 ლარი), მოგებამ 2,825,719 ლარი (2023 წელს 1,910,680 ლარი), ხოლო კომპანიის მთლიანი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 23,136,549 ლარს შეადგენდა (2023 წელს 20,363,815 ლარი).


კომპანია გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში.

3. დასაქმებულთა რაოდენობა და საკადრო პოლიტიკა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უნივერსიტეტი გეომედიში დასაქმებულთა რაოდენობა 303-ს შეადგენს, მათ შორის 125 მუდმივ შტატზეა დასაქმებული, ხოლო 138 მოწვეული ლექტორია, რომელთა ხელფასი საათობრივი დატვირთით განისაზღვრება. კომპანია მუდმივად ზრუნავს დასაქმებულთა განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

4. გარემოს დაცვის საკითხები

კომპანიის საქმიანობა რაიმე სახის გავლენას არ ახდენს გარემოზე და გამომდინარე აქედან გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმა შემუშავებული არ არის.




მარინა ფირცხალავა

დირექტორი

19.11.2025





ნონა თოლორაია

მთავარი ბუღალტერი

19.11.2025